

შპს ელესჯი (ს/კ -205279928)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელესჯი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2009 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ.დიდომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ., N42ბ

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტით (ტაქსებით) მომსახურება, ხოლო დამატებითი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის წილების გადანაწილება 2019 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2019	
ივანე ჩაჩხიანი, 01956001152 (1/3)	100%
მარიამ ჩაჩხიანი, 01256005361 (1/3)	
ნინო ომანაძე, 01025014204 (1/3)	
სულ	100%
დირექტორი - ალექსანდრე სანაძე 01017016552	

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 5%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	1,360,004	1505738
სხვა შემოსავლები	49,495	63,073
სულ	1,409,499	1,568,811

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(254588)	(219087)
სულ	(254588)	(219087)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
ხელფასის ხარჯი	(400332)	(316162)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(14400)	(15200)
კომუნიკაციის ხარჯი	(5245)	(5404)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(7440)	(7078)
იჯარის ხარჯი	(33600)	(33600)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(215)	(502)
მიწოდების ხარჯი	(534)	(255)
სხვა ხარჯები	(209428)	(244979)
სულ	(671194)	(623180)

7. მარაგები

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები სრულად წარმოადგენს გასაყიდ პროდუქციას.

მარაგები	31.12.2018	31.12.2019
დაუმთავრებელი წარმოება	906,401	1,776,565
სხვა მარაგები	25,449	11,937
მარაგები	931,850	1,788,502

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	134,410	141,112
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	134,410	141,112
გადახდილი ავანსები	120,337	32,790
სულ მოთხოვნები	254,746	173,902
სხვა მიმდინარე აქტივები	25,552	73,778
სულ ფინანსური აქტივები	280,299	247 680

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2019
ფული სალაროში	41472	403375
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	246379	37,800
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1	71
სულ	287,852	441,246

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	247,046	75,691
მიღებული ავანსები	324,217	801,574
სხვა ვალდებულებები	0	784
გრძელვადიანი ვალდებულებები	627,065	675,621
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,198,328	1,553,670
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სულ სავაჭრო, და სხვა ვალდებულებები	1,198,328	1,553,670

11. გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2018	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	916,395	859,024
არამატერიალური აქტივები	856	685
სულ გრძელვადიანი აქტივები	917,251	859,709

12. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს (1,783,467) ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის (17,531) ლარი და გაუნაწილებელი მოგების (1,765,936) ლარისგან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა (30/09/2020)

დირექტორი:

ხელმოწერა:

11. გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2018	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	916,395	859,024
არამატერიალური აქტივები	856	685
სულ გრძელვადიანი აქტივები	917,251	859,709

12. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს (1,783,467) ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის (17,531) ლარი და გაუნაწილებელი მოგების (1,765,936) ლარისგან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა (30/09/2020)

დირექტორი:

ხელმოწერა:



სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	მენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	1505738	1360004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	219087	254588
საერთო მოგება		1286651	1105417
სხვა შემოსავალი	4	63073	49495
მიწოდების ხარჯები	6	255	534
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	505194	569095
სხვა ხარჯები	6	46011	34340
საოპერაციო მოგება		798264	550943

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	6	1039	167
ფინანსური ხარჯი	6	70180	66844
ფინანსური შემოსავალი		0	0
მოგება დაბეგვრამდე		727046	483932

მოგების გადასახადის ხარჯი	5	502	215
მიმდინარე წლის მოგება		726543	483717

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		726543	483717
---	--	---------------	---------------

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1218924	558007
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		726543	483717
კაპიტალის სხვა ცვლილებები		162000	177200
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1783467	1218924

დირექტორი:

ხელმოწერა:

შპს ელესტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 205279928

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	1505738	1360004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	219087	254588
საერთო მოგება		1286651	1105417
სხვა შემოსავალი	4	63073	49495
მინიღირების ხარჯები	6	255	534
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	6	505194	569095
სხვა ხარჯები	6	46011	34340
საოპერაციო მოგება		798264	550943
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	6	1039	167
ფინანსური ხარჯი	6	70180	66844
ფინანსური შემოსავალი		0	0
მოგება დაბეგვრამდე		727046	483932
მოგების გადასახადის ხარჯი	5	502	215
მიმდინარე წლის მოგება		726543	483717
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		726543	483717
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1218924	558007
ახალი აქციების გამოშვება			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		726543	483717
კაპიტალის სხვა ცვლილებები		162000	177200
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1783467	1218924

დირექტორი:

ხელმოწერა:

შპს ელესჯი
საიდენტიფიკაციო კოდი: 205279928
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		2477428	1500001	296549
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	441246	287852	120535
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	141112	134410	110648
გაცემული ავანსები	6	32790	120337	14465
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	1788502	931850	40940
სხვა მიმდინარე აქტივები	6	73778	25552	9961
გრძელვადიანი გაქტივები		859709	917251	554028
ძირითადი საშუალებები	8	859024	916395	552958
არამატერიალური აქტივები	9	685	856	1070
სულ აქტივები		3337137	2417253	850577
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		878049	571263	19623
მოკლევადიანი ვალდებულებები	11	76475	247046	12892
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
მიღებული ავანსები	11	801574	324217	6732
გრძელვადიანი ვალდებულებები		675621	627065	272946
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	675621	627065	272946
საკუთარი კაპიტალი		1783467	1218924	558007
საწესდებო კაპიტალი	12	17531	179531	2331
გაუნაწილებელი მოგება	12	1765936	1039393	555676
გადაფასების რეზერვი				
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3337137	2417252	850577

დირექტორი:

ხელმოწერა:

შპს ელესკი
საიდენტიფიკაციო კოდი: 205279928
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		2477428	1500000	296549
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	441246	287852	120535
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	141112	134410	110648
გაცემული ავანსები	6	32790	120337	14465
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	1788502	931850	40940
სხვა მიმდინარე აქტივები	6	73778	25552	9961
გრძელვადიანი გაქტივები		859709	917251	554028
ძირითადი საშუალებები	8	859024	916395	552958
არამატერიალური აქტივები	9	685	856	1070
სულ აქტივები		3337137	2417252	850577
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		878049	571263	19623
მოკლევადიანი ვალდებულებები	11	76475	247046	12892
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
მიღებული ავანსები	11	801574	324217	6732
გრძელვადიანი ვალდებულებები		675621	627065	272946
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	675621	627065	272946
საკუთარი კაპიტალი		1783467	1218924	558007
საწესდებო კაპიტალი	12	17531	179531	2331
გაუნაწილებელი მოგება	12	1765936	1039393	555676
გადაუასესხ რეზერვი				
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3337137	2417252	850577

დირექტორი:

ხელმოწერა:

